

33013, 29 იანვარი 1917 წ.

კვირის დღეები:
თფილისი, ოლღახ ქუჩა, № 6.

== ფასი 15 კაპ. ==

მშობლები № 5


1917

შ ი ნ ა ბ ს ი: მელაქუნა—თარაში. მზიარულ გურ-
ში—პოლბენეცა. X ის ხაამობი—A. უეპური—ბუტუ-
ნა. ნაწყუდები—იკ. ტოფოძე. ღებეშენი. ქალთაგვა-
ვარდოშვილი. მე რა ვიცი?—ღია. ინდოლოში მასახე-

ლა—მამია. აკაკისებური—როკოკო. ერწოდან—გამოქ-
ნელი. ლებოური—ნანა. წლიური ანგარიში—ჩამოშრე-
ბი. რკინის გზის მთავარი სახელოსნო—კ. ნ—შვილი.
პარკატურები: ულტიმეტუმი. უცნური ს.ნი.

ს ა გ ე რ კ ნ ე თ უ ი

26280



საბერძნეთი. მოიტა, მოიტა, მავასაც მოინელგბს როგორმე კაცი. საჭირთა მხო-
ლოდ ეს ქავეებიანი ტუაფი გავხალთო.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა



მეჯლაქუნა

1937 წლის

ბოჭაული ჩენი ნაწილისა ბ-ნი კლოპოვი (ყვლეფიაშვილი) შეტათ აღვლვებული იყო.

— ვერ წარმომიდგენია რას ფიქრობს აი ხალხი!.. „ყაჩაღები და სტრახენიკები ვერ გამოძირჩევიან!“ დეიჯინა იმ ყაძახმა და... კი არ იცის რომ მაგვარი შეურაცხყოფა პოლიციისა ციმბირში ამოაყოფიებს თავს!.. ტუტუტუკები არიან მაგრამ ვაყურებივებ სე-რის!..

ბ-ნი კლოპოვი (ყვლეფიაშვილი) მთელი თავი-სი ამალით დათარეშობდა მაშინ სოფლებში ყაჩაღების შესაპრობათ. ის ცნობილი იყო, როგორც დახელოვებული მაძებარი და ამიტომ მთელს მაზრაში ყველანი ირწმუნებოდნენ: ყაჩაღების დღე უკვე დათვლილიაო.

გლეხი, — რომლის სიტყვას ისე აედევლებია პატივცემული მოხელე - იყო პირველი, ვისაც აგრძობინა პოლიციის ძღვევა-მოსვლება კლოპოვის ლაშქრობაში.

— შე ქოჯაკო, შენს სახლში ყაჩაღები ყოფილან!.. გამოეთიე ჩქარა და გვიჩვენე სად დაგიმალეს, გესმის? — მიმართეს მის წყრომით და დაუშინეს მათრახები.

— ვილაკები კი იყვნენ ბატონო, მარა რა ვიცი თქვენი ქირიმე ყაჩაღებია თუ სტრახენიკები!.. ყველა „პაგონებიანია“, ყველა შეირადებული და რით გავარჩიო — უბასუბა გლეხმა და მორიდებით მოიხსნა ყაბალახი.

— მაშ შენ ვერ გამოარჩევ ყაჩაღებს და სტრახენიკებს?... დაჰკარით ერთი მაგ ღორის კულს და გამოირკვევა! — ბრძანა მოხელემ და გლეხს სცემს კიდევაც შეუბრალეზლად, მაგრამ ის მაინც „ვერ გამოირკვა“ მაშინ შეუკრეს ხელები მაგრა და გაისტუმრეს.

ბოჭაულს მაინც არ ეტყობოდა კმაყოფილება. ის საშინლათ გააბრაზა გლეხის სიტყვებმა. როგორ შეიძლება ამისი თქმა, რომ ვერ გამოძირჩევიან? განა შესაწყნარებელია ასეთი შეურაცხყოფა? განა გავრინლა ასეთი ურჩობა? მას

დაწოლის შემდეგაც დიდ ხანს ვხსენებდა. მის გონებაში თანდათან იზრდებოდა დასჯილი გლეხის სახე. იგი შემოიპარებოდა მასთან ღამის სიბნელეში და მისი გულბრძანებით გამოამტყვევების უკან იმალებოდა რაღაც ისეთი, რაც მწარეთ დასცინოდა ბოჭაულის თავმოყვარობას. ბოჭაული იბრძოდა, უფოთავდა, ბოღავდა. ითანში მის შარი-ახლა დაწოლილი მცველი შიშით შეჰყურებდა მძინარე ბატონის მოუსვენრობას.

— მაშ შენ ვერ გამოგარჩევიან — ეკითხებოდა სიზმარში გლეხს გაბრაზებული მოხელე.

— როგორ გავარჩიო, შენი ქირიმე!.. ყველა „პაგონებიანი“... ყველა შეირადებულია!..

რა ვიცი ან რათ მინდა ვიცოდე თუ რომელია ყაჩაღი ან

— ერთი მაგ არამზადს უტურეთ! რიებს ბედავს!.. დაჰკარით!

— უღმერთობო! — ესმის ბოჭაულს მათრახების ტყლაშუნთან ერთად.

— რაო?.. პოლიციის წინაღმდეგობა!.. ბუნტი!.. ჩამოახრეთ!.. — ბრძანებს ვაცოფებული მოხელე და უკვე არ არის დედა-მინის ზურგზე ისეთი საზომი, რომლითაც ვაღიზომებოდეს იმისი გულის წყრომა, და თანაც იმისი ძღვევა მოსილება.

განდა სახარობელა. მრძანება წაშვე სისრულეში მიყვანილ-იქმნა მშვიდობიანობის გულისათვის. მაგრამ არ ვასულა რამოდენიმე წამიც, რომ გაისმა საზარელი კვილი. დასჯილის ცოლია. ახირებული ჩეულებია კი აქეთ სამეგროლოში ქალებს — კიეოლი!

— მუღდრობებს არღვევთ! ჩიქნია თავი მოხელემ და მიძახა: ჩამოახრეთ! — ვინ დაუშლის, ის ღმერთია!..

აი მოჰგვარეს სახარობელასთან ქალი, რომელსაც მისდევნ ფეხშიშველი ატრებული ბავშვები. ჩამოახრჩვეს ქალი მშვიდობიანობის გულისათვის. ჩამოახრჩვეს ბავშვებიც იმავე მიზნით.

მაღე რამოდენიმე მხრით მოისმის დასჯილითა ნათესავეების ვოდება, და, რასაკვირველია, სისრულეში მიყვანილ იქმნა შესაფერი ზომებიც!..



მხიარულ ჭურში

(ნიმუში თანამედროვე პოეზიისა)

სულ მცირე ხანი და—მთელს მიდამოში მხოლოდ შეუწყვეტელი ტირილი და ვეებაა. ნათესავთა ნათესავები არიან, საპირო ხდება „მოქმედება მომეტებული ენერგიით“, რომ მაზრის ხსენებულ ნაწილში ყველაფერს დაწყნარდეს და დამკვიდრდეს მშვიდობიანობა...

აჰა ყველაფერს „მორჩენ“... და მთავრობა ერთს მშვენიერს დღეს ხედავს, რომ ამ მხრით არც საჩივარი და არც პროტოკოლი არ შემოდის... ამიტომაც უქმდება საქმე შემოღებული მომრიგებელი მოსამართლისა და მომრიგებელი შუამდგომლის თანამდებობანი... უნდა ვსთქვათ რომ ეს ორ ბირი ცუდი თვალთ უცქეროდა ყოველთვის ჩვენ ბოქაულს უკანასკნელს კი მტრების გულის მოსაკლავათ უმატებენ ჯამაგირს, ჩინს და გადაწყაფთ მაზრის უფროსათ რაქაში, როგორც ინიციატორი ასეთი მშვიდობიანობისა.

სამეგრელოში გადასახლების მოსაკრეფად როცა გაიგზავნება ახალი მოხელე, უკანასკნელი მთელს მიდამოში ევრაივის ჰპოულობს.

მაშინ მთავრობა დაადგება იმ აზრს, რომ მცხოვრებნი ალბად თავის საყვარელ უფროსს გადაწყეებოდნენ რაქაშიო და ამიტომ... მათ გადასახლს რაქველებს უმატებს...

— აქაც თუ დავხოცე ხალხი... ჰმ... ჩაიციანა მოხელემ, მაგრამ ის უკვე ნახევრათ გამორკევეული იყო. როცა ვიზმორა და გააბილა თვლები, შენიშნა რომ კარგა ხანი მზეც ამოსულიყო.

— ძალიან კი მფოთავდით, ბატონო, წუხელი მოახსენა მკველმა, რომელსაც შიშით მთელი ღამე არ სძინებია.

— საკვირველი სიზმარი ნაგებ, საკვირველი! გაგონილა გლეშა პოლიციელი და ყაჩაღი ერთმა-ნეთისგან ვეღარ გაარჩიოს? „ჩორტ ეოზში.“

მაზრაში.

„პოეტს იმ კაცს ეძახიან, ვინც რომ სიტყვას-სიტყვას აწყობს; აზრი რომ გაუფრინდება, რითმებს დაუწყებს ტებნასა.“
სოლ. ზურგელიძე.

„აბა-უბდა გადაბრუნდა ლექსის შეთხზვა ასე უნდა! ვინც ჩემსავით ვერ გამოსთქვამს მან თხლე შესვას ერთი გულა!“
გ. ცაძე.

შვიდა სოფელში შვიდი ძალი დაიწყებს ყეფას. მზე თმას გაშლის, მოწიწებით შემფხანს კეფას,— უხვად გადმოჰყრის წითელ ფერის მთრთოლვარე ტილებს, ცეცხლის საფარცხლით გადმოვარცხნილ გადმოხვეტილებს... ბულბულის კენესას წაებმება ყვავის ჩხავილი, და აქვესდება სერზე მჯღომი კატის კნავილი... ..მოირბნეს ჩემთან შლეგი ჰინკა კბილ დაკრეტილი, წელში მოხრილი, დამანქტული თმა გაკრეტილი, ჩამალვებს ხელს და გაეკროლდებთ მხიარულ ტურში,— კრელი სიმღერა გამიელვებს ორივე ყურში... ეკაცანდება ჩემს ხილვანე ტურის კედლები, ვით მამლის ლხინზე ნაქეფი დინჯი დედლები.





მათგან ანათროთოდ წითელ ვნებას
მეცა ვნებდები,
აზრსა განაქცევს ვერ ვეწევი
და ველარ ვწვდები..
ჩაეჯდები ძირში, როს ქვევრის თავს
ვადავხდი როგოს *)

და შემოვიხმობ საქეიფოთ
ბრუტინა ვოგოს...
მჩქეფარებს ღვინო! დახტის ქიქა,
დაროკავს ბოთლი
ტურის პირს ასდის ნაწყვეტებით
გრძნეული ორთქლი
თავს დაგვციალებს მქლე სხივებით
დამბრჩავლი მთვარე
ქვევ კი ამოჩქეფს გრძნების ღვინო
წითლათ მღელვარე.
ავიღებ ხელში ლაღის ქიქას
ღიმით დაფერიღს

და ვსწუწნი ცხვირით ქიქის კიდან
ღვინის ქვაფენიღს!..
გიჟმაჟობს გიფი, განაგიფი
ცალთვალა ვოგო,
ბანს აძლევს ცეკვით ანაცეკვი
ტურისა როგო.
ცას წვდება ჩემი დანატეკვი
მხურვალე ტაში.
წინ მიღვას გობით აგზნებული
მსუქანი ხაში.

გაივლის დრო და მე კვლავ ვზივარ
მზიარულ ტურში,
და მქლე სიმღერა ჩამრაკრაკებს
ჟანგიან ყურში...

პოეზიკანთა.

X-ის ნაამბობი.

ამ რამოდენიმე წლის წლის წინათ, თეატრში ერთ ლამაზ ქალს ვავეცანი, ერთმანეთით ისე დავინტერესდით, რომ წარმოდგენა სულ გადაგვაიწყდა. მესამე და მეოთხე მოქმედების დრო ფოიეს ერთ-ერთ ბნელ კუნძულში გავატარეთ. ერთი მეორეს სიყვარულს ვეფიცებოდით და დადებულ აღთქმას მხურვალე საბუთებით ვამტკიცებდით.

მას თან არავინ ახლდა, და წარმოდგენის გათავების შემდეგ სახლამდე მე მივაკილე. როცა სახლის კარებს მივადექით, და შე გამომშვიდობება დავაბრე, მან კატეგორიულათ განმიცხადა:

— ჯერ ჩემს ოთახში უნდა დაჰყოთ რამოდენიმე ხანიო.

— მაბატეთ, ქალბატონო, მაგრამ თქვენი ქმარი? ვაკვირვებით შევეკირებ მე.

— ჰში სჩანს ჯერ კიდევ არ იცნობთ დედაკაცს!.. ღვალეებში ჩამხედა და ზარის ფოლქს თითი დააქირა. მოსამსახურემ კარები გამოაღო.

— ბატონი სად არის?

— სამუშაო ოთახშია, ქალბატონო.

— „სამუშაო ოთახშია“! ირონიულათ გაიმეორა მან მოსამსახურის ზიტყვები და სასტუმრო ოთახის კარები შეღო; მეც თან შევეყევი.

— „სამუშაო ოთახშია“!.. მე კი... წყალი წყალი!! დაიყვრა მან და ტახტზე მოწყვეტით დაეცა.


ვიგრძენ, რომ რაღაც კოემედია იწყებოდა. გადავწყვიტე—ანსამბლისთვის ხელი შემეწყია. დისახლისის ხმაზე მსწრაფლ შემოიქრა მოსამსახურე და ქმარი.

— წყალი, წყალი! ლულულულებდა ის და მკერდზე ხელებს იფათურებდა.

მოსამსახურემ წყალი ჭიქით მიაწოდა, ქმარი კი განცვიფრებით შემოგვეტეოდა—ხან იმას ხან მე.

რამოდენიმეჯერ წყალი მოსვა და ქმარს მილეულის ხმით მიმართა.

*) როგოს, გურიაში ეძახიან ქვევრის სარქელს.



— სულ მუშაობ, სულ საქმეში ხარ, მე კი... უბატრონოთ უნდა ვეთრიო...

— ღმერთს გეფიცები—აი, ამ წამში მოვდი-
ოდლი.

— მოდიოდი... რამდენი ხანია წარმოდგენა
გათავდა, შენ ახლა მიდიოდი. ეს პირველი ხომ
არაა? ჩემთან არც წამოხვალ, არც თავის დროზე
მომიკითხავ.

— ტყვილათ ხომ არ ვზივარ, გენაცვალე? სა-
ქმეები მიტერნ.

— საქმეები!.. ბარემ შევეცაზე იმ ძაღლებს!
უბატრონო აღამიანის სიცოცხლეს სიკვდილი სჯო-
ბია!

— რა ძაღლებია, რა მოხდა?

— ისა რომ, თუ ეს ყმაწვილი არა, მე ახლა
წაფლეთებათ ვიქნებოდი ქტეული. აი იმ ქუჩის მო-
სახვევში ძაღლები დამეხვია... სუნთქვას უმატა
და წყალი მოსვა.

— ეტლით რათ არ წამოდი? თანაგრძნობით
კითხვა ქმარმა.

— ეტლით!.. წარმოდგენის შემდეგ ნახევარი
საათი შენ გიცადე, და ამ ხნის განმავლობაში მტ-
რლებიც წავიდ-წამოვიდენ.

— ჰმ!

— შემთხვევით ეს ყმაწვილი მოდიოდა
გზათ და წამომეშველა, თორემ... ერთმა ქოფაკმა
ის ის იყო კბილიც მომაგლო, მაგრამ სწორეთ ამ
დროს საოცარის სისწრაფით მოიჭრა ეს უცნობი
ახალგაზრდა, თავში რევოლვერი დაახალა; რევო-
ლვერის ხმაზე სხვებიც გაიფანტენ და...

— დღისაგან დიდ მადლობას გიძღვნი, ჩემო
ჭირფასო!— ამ სიტყვებით მოვარდა ჩემთან სიხა-
რულისაგან ცრემლ-მორეული ოჯახის კაცი და ხე-
ლი მაგრათ ჩამომართვა. მე გმირის პრზა მივიღე
და ღინჯათ გუპასუხე.

— მადლობათ არცა ღირს, ბატონო ჩემო.

— როგორ გეკადრებათ! ძაღლების კბილისგან
აღამიანის დახსნა განა ხუმრობაა?... ხომ ვამა-კაცი
ვარ, მარა მათი ისე მეშინია, რომ ახლოს ვერ გა-
ვეული.

— ნუ თუ მართლა?

— ღმერთს გეფიცებით. ჩემი დედა-კაცი ამ

შემთხვევაში უფრო გულ მაგარი. მე რომ მაგის
ადგილას ვყოფილიყავ, შიშით გული გამისკდებო-
და... რაოდენი ვალი დამდეთ, რომ სახლამდინაც
მოაცილეთ.

— მე მხოლოდ ჩემი მოვალეობა შევესრულე.

— თქვენი ვინაობა? უკაცრავათ, რომ ასე
გვიან... დისახლისის *გულის წახვლამ“ გააწყვე-
ტინა სიტყვა.

— გიორგი, — ნაწყვეტ-ნაწყვეტათ, ამოილა-
პარაკა წყლის პკურებით მობულბულეებულმა ქალ-
მა—წადი, გენაცვალე, აფთიაქში, გულის დასამ-
შვიდებელი რამ წამალი გამოართვი.

— ჰო მართლა, ამ წუთში!.. თქვენ ყმაწვი-
ლო, მომიბრუნდა მე, სიკეთეს სიკეთე დაუმატეთ
და, თუ ძალიან არ გეჭკარებათ, გაუცნობლათ
მაინც ნუ წახვალთ. მე მალე დაებრუნდები:

მე მხრები შევაქანე.

— ძლიერ დამავალებთ, ღიმილით მითხრა
მან და საჩქაროთ გავიდა.

— ახლა კი უკან გამოვეყვ, თავმომშონებით
მიბრძანა მშვენიერმა მასპინძელმა, როცა ქმარი თა-
ვიდან მოიშორა, და წინ გამიძღვა...

მას შემდეგ განვლო რამოდენიმე წელმა. ხე-
ნებულ მანდილოსანთან კვლავ მეგობრული დამოკი-
დებულება მაქვს, ხოლო მისი ქმრისთანა მოყვარუ-
ლი დედა-მიწის ზურგზე სხვა არ გიმჩნია. სულ
არ უშურს ჩემთვის!..

d.





საქართველო

უუეუერი

ფოთის უქმურმა გამხადა ავით,
 (მაქცია თითქმის ძვალათ და ტყავათ).
 სიშავეს ებრძვის სიყვითლეს ფერი,
 (ფათერაკს ელის ქართველი ერი!),
 თუმცა სიციცხლე არ მიღირს ჩარათ
 მარა ეგ ხალხი, შავი ზღვის პირათ¹⁾
 ხომ დავამწუხრებ, დარჩა ოზლოთა,
 (ვინ ეყოლებათ ამის მთხრობლათა
 ფიქრები შავი გარს შამომერტყა
 უფალმა კალთა რომ დაიბერტყა²⁾
 ქალაქი ესე მე მომაგონდა,
 საქმე პატარა იქ სხვაცა მქონდა,
 (კერძო საჯიბე-სავაჭურქოთა,
 პრინციპის ურჩი კუქი უგვენო,
 რა ხშირად ჰყლაპავს ბრძნულ მოსახრებას
 სულის სიმტკიცეს და კაცის ნებას,
 მარა უმთავრეს მიზნათ ვსახავდი,
 რომ აქ გამართელს მაინც ვენახავდი,
 ვითა ჯაინოზს³⁾ და დოსტაქარსა,
 მარჩიელს მაჯის და შემტყობარსა;
 რაკი სენი მაქვს მე მრავალ გვარი:
 მქირს მატაურიც და ჯდომის ქარი,—
 ვსთქვი: თუ დამქირდა ოპერაცია
 ვნო ამშვიც თავი კაცია;
 წამალი მისი, თუნდ ერთი კოვზი,
 ყველაფერს კურნავს ვით ჯაინოზი.
 რა ამას ამზობს ქვეყანა ხალხი,
 განათლებული, თუ უკვა თალხი,
 გრიშაშვილის „ბრბო“, რუხაძის „ღმერთი“,
 (ვის დაუჯგრო, რომელი ერთი?!).
 მატარებელიც მიადგა ბაქანს.
 მიღეთის ხალხის უაზრო ქაქანს,

ბარუ-დასხმულ თავში რაღა...
 იქვე მოვანხე მეგობრის ბინა.
 (ჯერ ბინის შოვნა საშინლათ სქირდა,
 მეცე ღამეში თუმანი ღირდა!
 თუმცა სტუმარი სახარბიელო
 არავისთვის ხარ ობერ-ტოლო),
 მეორე დღით ქალბრა თავი
 გომართელისას მე ამოვყავი.
 დარბაზი ესე პირველად ვნახე
 მოკახშულობით თვალების მახე,
 ნაფოტის⁴⁾ კრელ-ქერ-იატაკითა,
 (მკითხავთ, რა მინდა რომ სთქვა ამითა?)
 სულ დამავიწყდა სენი და ქირი,
 პოლიტიკისკენ ვიბრუნე პირი,
 და მომაგონდა „ერთობის“ ხანა,
 (ეს მაშინდელი „ვანოა“ განა?!)
 ღირსი არ არის ყურადღებისა,
 დღეს „რევიზორი“ თავის მძებნისა?
 მას ეს უსაზღვრო ავტორიტეტი,
 შეუსაბამო და მეტის-მეტე
 დემოკრატია არ მიაჩნია?
 (უკანასკნელი პირველმა ჰკრიკა!)
 როცა შეგროვდა მატყელი და ტყავი,
 აქ სინამდვილემ იჩინა თავი,
 ვერ შეგუა დემოკრატია,
 თანდათანობით კიდელა დატია,
 მოიმიზეზა ავტონომია,
 „შავ“ ხალხთან ყოფნა სჩანს არ სდომია
 გვამცნო „უბრალო წერილები“—თა,
 (შოვინისტური მტავე მცენებითა),
 თათრიდან ვაპუო სომეხი მუშა,
 (თუმც ეს ხუხულა მას ჩაეფულა)
 თათრებს ურჩია ქართველთან შრომა,
 სომხებს კი უძღვნა ბრახი და წყრომა,
 „ეს ეროვნული იდეალები“—
 (ვერ აგვიხვია თუმცა თვალები),
 წამოაყენა მან მედიდურათ,
 (სომხებთან მტრულათ, თათრებთან მშურათ).
 მწარე ფიქრებით ვიყავ გართული:
 კაცის ცხოვრება მრავალ სართული

1) თავს ვაქცეინებ რომლებსაც ხშირად.

2) ძველი გადმოცემით უფალი ღვთის წილხლონილ ქვეყანაში სავაჭრო მიზნით სურშია ოქროს არიგებდა ხალხში, რაც თფილისში (სოლოლაქში) გაათავა და მორჩენილი ოქროც იქ დაიბერტყა კალთიდან. ქართველები ამ დროს სპარსელებს ებრძოდნენ, ხოლო სომხებმა კი გაუმართლეს უფალს განზრახვა.

3) ჯაინოზი ძველათ ექიმი იყო, რომელიც ისე კურნავდა ყოველ სნულუმბას, როგორც გომართელი.

4) ნაფოტის იატაკი ქართულათ „პარკეტნი პოლი.“



მდგომარეობით როცა ვახდებმა,
 სულის სიმტკიცე თურმე წახდებმა.
 საერთო ბრძოლა კაცს თუ სწყურია.
 როგორც ამბობდა „ჩვენი ურია“,
 მდგომარეობა ქმნის შეგნებასა,
 (ვერც ჩვენ წაუვალთ იმის ნებასა),
 ჩემთვის სწყენ. ეს მოგონება,
 (ჯოჯობებიდან მომეცეს ნება),
 რომ ჩვენს მკითხველებს გაუზიარო,
 (საექიმოთაც სხვაგან ვიარო,
 რადგან ექიმი, როგორც ვანო,
 გინდა ფოთიდანც ჩამოიყუყვანო,
 ჩვენს ექიმებთან ცხელგამკიება
 რომ გჭირდეს, არც კი გვაბატება...

* * *
 * * *
 * * *

გარედ ქარი კენესის, ღმუის,
 სახლს აჯახებს ვაშლის ტოტებს;
 თბილ ბუნხართან ბებია-კი,
 მეუბნება ანგელოტებს: —
 ვითომც მუზა პოეტებთან,
 მოდიოდეს მრავალ ჯერა;
 ყველას ჩანგურს თავაზობდეს,
 ვისაც ძალუქს მასზე მღერა.
 ვინაც ვრძნობით ააქედრა,
 მან მოხიბლა გადიბარა;
 ჯილდოთ მისცა: მგონის ნიჭი,
 და საჩუქრად ჩანგის წკირა...
 და ზოგ-ზოგნი რომ ჩნახავენ,
 აბლა უბდა კოჟლ რაადცებს;
 იმათ ჩანგურს, რომ არ წახდეს,
 მალე ხელში გამოსტაცებს...

ბუტუნა.

ნაწყვეტები

* * *

ეჰ პოეტო! როდესაც შენ
 მსოფლიოზე სევდიანობ;
 მეც შენსავით ბოღმა მარჩობს,
 ამ ცხოვრებას მეცა ენანობ.
 მაგრამ იცი!? კენესა მოთქმა
 და ცრემლები ძლიერად მძულს,
 მწუხარებას მე დავსცინი,
 და ტირილშიც სიცილი მსურს...

* * *

მეზობელო! შებრალებას,
 არცა ვთხოვ და არცა მინდა;
 მაგრამ შენმა ქალიშვილმა,
 ხათაბალას გადამეკიდა...
 სულ დამდევედა, მებეველა,
 და ჩემს მკერდზე თავსა ხრიდა;
 მაგრამ „სიტყვა“ რომ დამტყუა
 მეტყუალივით გამიფრინდა...
 მატყუარა აღარც მე მსურს,
 მაგრამ ამას ვაბარებ შენ :—
 ჩემი „სიტყვა“ დამიბრუნოს,
 თორემ იმას არ შევეარჩენ...

როცა ბოღმა გულს მაწვება,
 მინდა, რომ ესვა მუღამ ღვინო;
 შიგ ჩავარჩო მწუხარება,
 ვილხინო და ვილიდინო...
 ნუ დასძრახავ ნოეს ქეფს,
 მას ავ შეილთა დარდი მქონდა;
 მიტომ დათვრა, ყურძნის წვევით
 და ტალახში ამოგორდა...

ირ. ტოფაძე

დეკემბერი

(ბუტუნას ხააგენტო)

ფოთი

ბ-ნი ტყემალაძე შუა დეკემბერში თფილისს
 წავიდა სავანგებო მინდობილობით. იანვარიც ილ-
 ევოდა, მარა მეურავი არ სჩანდა. ქალაქში ხმა გავ-
 რკელდა: ტყემალაძე*) შანტაგისტებს მოუტაცნია

*) შეიძლება ეს ვერსია მართლაც იყოს, ვინაიდან
 ტყემალაძე ამ ეშმაკს სახუმარო ნიუთაქურას არ წარმოა-
 ზგენს.



უყნაური სენი



ლიწლინტ

რეპორტიორი. როგორა ბძანდება მათი აღმატებულება?

შვეიცარი. ჯერ-ჯერობით არა უშავს რა.

რეპორტიორი. საოცარია, ავერ მეორე კვირაა ამ მძიმე თანამდებობას ასრულებს და ჯერ არავეითარი სენი არ ამოაჩნდა



ქალთაგვ

(ხალხური)

და 50 ათასი თვითმართველობიზა შეუთვლიათო. მეორე ვერსიით ტყეშალაქე თფილისში არხეინათ სცხოვრობდა და ფოთში მინამ არ ჩამოვა სანამ სანოვაგის კრიზისი არ ვათავდებო რადგან უქმელი თურმე ვერ სძლებს და ფოთში კი დღემდის შიმშილი იდგა. სააგენტოს საგანგებო ძიებამ უკანასკნელი დადასტურა, მარა ამას დაერთო კიდევ ახალი გარემოება შაქარი და პური და ტყეშალაქით დატვირთული მატარებელი თფილისიდან ერთ და იმავე დღეს მოვიდა. ქალაქში ორმაგი მხიარულება ჩამოვარდა, როგორც პური და შაქრის ისე ტყეშალაქის მშვიდობით დაბრუნებით, მოწყენილობა მხოლოდ ხაზინადარ გოგეჯანოვს დაეტყო, რადგან მოურავის „სტოჩნების“ გასასწორებელი ანგარიში კასაში არ ჩაეტია.

პაოლო იაშვილის ლექციას ხალხი ბლომათ დაესწრო. ლექტორმა სცენაზე მიიღო მსმენელებიდან ცალიერი ღვინის ბოთლი ზედ წარწერით: „ნიშნათ უშინაარსო ფორმისა“ — იაშვილმა სიამოვნებით მიიღო ძღვენი და საუბარი ცალიერ ბოთლზე გადაიტანა, ლექტორს ღვინო ეღვა სცენაზე დროგამოშვებით სვამდა, მარა მარცხი არაფერი უქნია.



ერთი ცაკი მიდიოდა გამალებით სადღაც შორსა: სოფელი რო ვადალახა— და გასცილდა ვრცელ მინდორსა— მდინარის პირს დინახა: ყვაესა თავგი დაეჭირა და დახარობას უპირებდა, ნისკარტი წამოიღირა. რა იხილა მგზავრმა ყვაგი „შეუქშია“ დასაფრთხობათ, თანაც ჯჯო მიოუქნია ცოდიელ თავის წასაძრობათ... და ყვანჩალამ, შენაკრობამ, მყის შეაშვა თავეს ბრქუალები გადაფრინდა მთას გადაღამ ეგველოდა სად ქალები. მგზავრსა თავგი შეეებრაღო, ხელთ აიღო საცოდავი, და შინათკენ წაიყვანა... ცოლსაც უთხრა ეს ამბავი... თან ინატრა:— „რა იქნება, რომ ეს თავგი ცუვრუმეღო, ლამაზ გოგათ გადაიქცეს გაგვენაროს მითი ყველა“?! თავგი მყისვე ქალოთ იქცა... ცოლ ქმარს ნატვრა აუსრულდა, და შეუდგა მზრუნველობას... მეოჯახეთ დაფატურა...

II

როცა ქალი ვაიხარდა— ვაპირბადრდა, როგორც თვარე ლოყა ლალებრ აუწითლდა და დაეტყო სინარნარე... „მამამ“ უთხრა:— მითხარ, შვილო, ვინ გასურს იყოს შენი ქმარი, მიპასუხე და ვიპოვნი


მთლიან რომ შეეძრა მთა და ბარი!!
 ქალმა უთხრა:—ჩემსა ქმარსა
 უნდა ექნეს ესდენი ძალი,
 რომ მის წინა ჰედს იხრიდეს
 ჯოჯოხეთის ძალთა-ძალი.
 რა რომ ქალის ნაუბარი
 მამამ კარგათ მოისმინა,
 წამს გაიქცა ვამალებით
 დიად მზესთან მიიბრინა...
 მოახსენა:—მზეც დიადო
 ჩემ ქალს საჭმროთ უნდა ისო—
 ვინც ყველაზე ძლიერია
 ვინაც, ყველას რისხვას ჰგვირისო...
 ამ გვარ საჭმროდ შენ გიკანი
 გთხოვ შეირთო ჩემი ქალი,
 იგი მეტათ ლამაზია
 ბროლ ყელა და მკერდ ფიქალი...
 მზემ მიუგო:—ეჰ საბრალოც,
 შენ ის სულაც არ გცოდნია,—
 რომ მე თავზე ღრუბელთ ჯარი
 სატანჯველთ დამდგომია...
 ვინ სთქვა ჩემი ძლიერება,
 როს ღრუბლები სხივს მიკართობენ?
 ღრუბლებს სთხოვე ქვეყნის მეფეს,
 შავს ღრუბლებს რო უწოდებენ...
 გაეშურა მყის ღრუბლებთან
 „მამა“ იმედ აგზნებული,
 და გააცნო მისაც ისე
 ქალისაგან განზრახული...
 მან მიუგო:—შენ, ძმობილო,
 არ გცოდნია არაფერი,
 ჩვენი ძალა ვინ სთქვა ქართან...
 ვის ჰედს უხრის ყველაფერი?!
 ძლიერებას თუ ეძიებ
 ქარს მიმართე, დამიჯერე,
 ქარი ყოვლის შემძლე არის
 კლდეს ჰკვეთს მისი სიძლიერე...
 რა ისმინა ეგ პასუხი
 გაეშურა გლეხი ქართან,
 ქარმა უთხრა:—შე საბრალოც,
 ჩემი ძალა რაა მთასთან,
 მე—თუმცაღა ძლიერი ვარ,
 მაგრამ მთები არ მიშობენ,
 ჩემ სურვილს წინ უდგებიან,

სანავარდო გზას მიჩქობენ...
 მთებს მიმართე თუ გსურს სიძლიერე
 შეურყევი და უძლევი
 მთა ხომ მარად უდრეკია
 და ძლიერი ვითა მდევნი...
 გაეშურა მამა მთისკენ
 და განზრახვა მოახსენა.
 მთამან უთხრა:—არ გცოდნია
 ქვეყანაზე არ რა შენა...
 რომ იცნობდე ამა ქვეყნის
 შინაარსს და საიდუმლოს,
 მაშინ მალე მიაგნებდი
 სიძლიერით ჩემზე უფროს.
 —ის მუშაა... მისი ძალა
 ერთის დაკვრით მიწგრევეს ძირსა,
 ხან სრულად მსპობს... ერთი სიტყვით
 თავს მატებს დიდ გასაჭირსა!..
 ინახულა გლეხმა მუშა
 და უამბო ეს ამბავი,
 უთხრა:—მუშავე, გავიგე, რომ
 შენ ყოფილხარ ქვეყნის მძრავი,
 შენ ყოფილხარ ერთად-ერთი
 ძალა, ყოვლის გარდამქმნელი,
 მაშ შეირთე ჩემი ქალი,
 ლამაზია, სასურველი!..
 მუშა მყისვე დაეთანხმა,
 ხელი მისცა, ჰყო დასტური,
 აუსრულა „მამის“ ზრახვა,
 არ დასტოვა უძაღური...

III

და თვით ქალმაც ის ისურვა
 ვინც აღმოჩნდა მისი ბედი,
 „გადიწვრა“ მყისვე ჯვარი
 დაუმშენა მუშას გვერდი!..

ხ. შადლოშვილი.





მე რა ვიცი!

მე რა ვიცი ის ვინ არის!
 ეხლა ზევით აიარა,
 კოხტათ ფეხს კი მიაბიჯებს..
 დღის დღეს ხომ ესეც კმარა.
 მე რა ვიცი საით მიდის?
 თავი მაღლა აუღია,
 სადაც მივა ვინ დაუშლის
 კარი ყველგან დახვდეს ღია.
 მე რა ვიცი რას სცემს თაყვანს?
 ფულებსა თუ ტკბილსა სალამს,
 შუბლის ტყავი კი აქვს სქელი,
 ნეტავი რათ სტანჯავს კალას?
 მე რა ვიცი სად ისწავლა?
 ან რომელ ტაძარში იყო
 ახლა ცოდნა ვის რათ უნდა,
 ვინ დაგზრახოს რაც იბრიყვო?
 ეხლა გაბედულათ მიდი,
 კარი აღე, კლიტე ხსენი,
 ვირზე შეგეკმ (შხოლოდ სწორად)
 რა საჭირო არის ცხენი?
 ხმა კი გინდა ბოხი ბუნდი
 მაღალი და რიხიანი,
 ყურში ტკბილათ მოისმენდეს
 ბობოლა და დიდ თიანი.
 სკერი, ჰკეცე, ზომე, საზღვრე.
 ჯიბეს იღე, არა უშავს...
 მე შენ გეტყვი ღმერთს სცალია,
 ან სოფელი ჩაგიფუშავს?

ღია.

ინლოურმა მასახელა!

(რკინის გზის მთავარი სახელმწიფო)

მუაწია „პრიბავეკის“ თვემ თუ არა, გავმართეთ
 ბრიგადირების „უეინებო“!
 ივანიკამ გეიშალოშინა ენა და ვინმეს თუ
 ცხვირი დააცემინა ღვთის ცეცხლათ მუურბენია
 ბრიგადირის.

ზურაბამ მტკვარში ფიჩხულის ფიჩხულანთლით
 საქმბარი გახადა.
 ვალიკომ დალიარდიან ღვინის ჩამოტანით,
 ორივე გვერდი ისე დაიხიანა, რომ სააპერაციო ლამის
 შეიქნა.

ვასილამ მის ბინაზე ნავთის ზიდვით, მკლავები
 კოჭებამდი დაიგრიძლა.

სიმონიკა ჩაის დუღებაში ისე გეიწაფა, რომ
 ლაქის ეგზამენი სულ პიატზე შუუძლია ჩააბაროს.
 მარა არ იქნა, ვერა და ვერ მევიგეთ მისი
 გული.

ბოლოს ისევ მე ჩამავიანა უფალმა.
 წავსწყვიტე ინდოურს თავი და ახალ წელაწად
 დილას მემკვლევათ გამოვეცხადე ბატონს. დაუდექი
 სმირნაზე, ვეიყუდე გულზე მსუქანი ინდოური და
 მოვეყვი ლოცვას.

თან მივაცოლვე: ესლი მოენა პრიბავეტ მოი
 პარტია პო დესიტ შაურ მეთქი.

ისე აგისრულდა ყველაფერი ნატვრა, რავაც მე
 ჩემი თხოვნა ამისრულდა. მევილა „პრიბავეკა“ თუ
 არა, ჩვენ გვეყარით ათ ათი შაური და სხვებს
 კი ბოლოკის კული ასე სანაგებო ფრინველია ინ-
 დოური. ზოგიერთებს კი იგი სულელურ ფრინველათ
 მიანჩნიათ.

ჰამბი.

აპაპისეგური.

„ჰკარ, შეჰკარ, ჩაჰკარ, შეიპყარ!“
 გაისმის ბრძოლის ველზედა,—
 შინაურებიც ამ სიტყვით,
 ფეხებს გვადგამენ წულზედა...



„ჰკარ, შეჰკარ, ჩაჰკარ შეიპყარ!“
 დაყუპვი ქანქარი,
 მძახის მამასახლისი,
 და მთელი მისი აშქარი...



„ჰკარ, შეჰკარ, ჩაჰკარ შეიპყარ,“
გამოიგონეთ ხრიკები
გაჰკრიკეთ მუშა კულამდე,
ჰყვირიან პოდრაჩიკები.

„ჰკარ, შეჰკარ, ჩაჰკარ შეიპყარ,“
ჩვენ კი ჩავიცვით ფარჩები;
ჩვეულუბრივის სიურცებით
გაიძახიან ჩარჩები.

„ჰკარ, შეჰკარ, ჩაჰკარ შეიპყარ,“
ასიანი გესურს ტლიდები
ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს,
ყვირიან ჩინოვნიკები.

„ჰკარ, შეჰკარ, ჩაჰკარ შეიპყარ,“
გადაათუთრე მინდორი,
ასვარ დახვარე სტატია,
გაჰკვივის ჩვენში ცარი.

ჰკარ, შეჰკარ ჩაჰკარ შეიპყარ,“
ასე სწერია ყველგანა;—
ლამის აშშორდეს ქაობში
შეცურებული ქვეყანა!

რ.ო.ო.ო.


ერწოს ამბავი*)

ერთხელ მეც გამომიგზავნე
ძმაო ეშმაკო, სტერიია
ბეერი მჰქვ სალაპარაკო,
დიდი გვაქვ გასაჭირია
ამ ჩვენი ერწოს ამბავი
რო გითხრა გასაკვირია,

უზომოთ გაიკორესტინა
ჩვენცა გვეყვ ერთმანეთს
ალექსი აფციკური
კაკობით განაწირია,
ბეერი გლენია ამისგან
კრემლგებით ანატირია.
ტიტველ მინდორზე რო ნახოს,
სხვის ძროხა, გინა ვირია,
მიინც ტაქციას მოითხოვს
იაფია თუ ძვირია.
ახლოს აქვ კანცელარია
შორს წასვლა არა სჭირია,
და მეგობარიც მარჯვე ჰყავი,
მისი ერთგული პირია
სოფლიო გახლავთ სხელი,
მასთვის თავ შანაწირია,
იმათვინ ხალხის ჩივილი,
ვითა კედელში ჩხირია.
ჩამამეულობით, ძველთაგან
გაუმადლარი სვავია,
სტარშინათ ვახლდით ერთ წელსა,
ამით მასწონდა თავია,
გაგვიხარია ბეერ გლენსა
მან გაუსინჯა ტყავია
მაგრამ უმტყუნვა ყინათამა
დღე გაუთენდა შავია,
მალეღვე გამაბძანეს
დარჩა ქვა დანაკრავია,
როდამჩრჩაიყო კიდევა
ეწვალა საცოდავია.
ამ საგარდნობით შესცვალა
ვასილი ათის თავია
და მის მაგიერ მიხსა
გადაზღვა იმან კავია. *)
ვერცარა მან უშველა,
გავარდა მუქთი ფლავია,
მოზრუნდა თავის ქნევითა
გლენების მომდღურავია,
აქეთ და იქით რო დააქვს
ალბათ რო ენა ჰქავია.
ეხლა აქ შესდგა, ძმაო ჯან,
ერთი ახალი პარტია,
სურთ რო მაუსზონ ვაქართა
ჯიბესა შესამატია,
უნდა გაუხსნან გლენებსა

*) სამუხრათ ამ წერილის დასაწყისად ერთობ შე-
მოგვიადა.

*) სოფლის ამირჩეული ათის თავი დამალა და თა-
ვის მომხრე მარა წამაყენს.



ლუქანი კოპერატი
 და კიდევ ცდილობს ეგ ვაფი
 შიგ როგორმე ჰკრას კლანქია,
 და ის ურბენს წვეგრებსა,
 ლამის მოენგრეს კანქია.
 ვაფრთხილემ მეთაურებსა,
 თუ რო დამიგდეს ყურია,
 თუ არ გამიწყურენ ძალიან.
 არ დავრჩი უმადურია,
 ეს ვაფბატონი არ ვარვა,
 არც მისი სამსახურია,
 ძველ დროს სასოფლო დეპოში
 ეს იყო მეთაურია,
 და ჯერაც დასდის ხალხს ოფლი
 იმ დროთგან მონაწერი.
 საამხანაგო ლუქანში
 გამართა რაღაც ხრიკები
 ბლომადა ჰქონდა კახური
 ღვინით დავსილი ტიკები
 ზაკუსკეული მრავალი
 თეფშებზე ქორფა კიტრები,
 ლუქნის წვერილმანი შეშუღით,
 დავსილი იაშვიკები.
 ბოლოს კი ამა დევი-გმირმა
 იშოვნა ქანქარიკები...
 და უთხრა ამხანაგებსა:
 ლუქანმა იზარალოა,
 ვერ გვექნა კარგი ვაქრობა,
 დროება შეიცვალაო,
 თავნიც ხარჯს ველარ ასწორებს
 მით გახდა ხათაბალოა
 სარგებელს ვინღა ჩიოდა
 თავნმაც რომ იჩინჩალოა.

გამოქნეული.

ს. ლიხაური

(სახალწლო რჩევა აფთიაქარ პ. ნ-ძეს)

თუ არ გინდოდეს შენ შენთვის ავი,
 დიდრონ პირებთან ამოყავ თავი;
 იქაც „იმასქენ“ აქაც იყავი,
 ასეთ ტაქტიკას მარად აქვს ხეავი.

არ გაიკარო სიმართლის მოქმელი
 კრიტიკა გძულდეს, ვითარცა გველი;
 არვინ დაინდო, მოთალე ყველა,
 გამვერ-გამოძვერ, ჩუპა, ნელ-ნელი.

ოდეს გეტყვიან სიმართლეს პირში,
 მაშინ ყოფილხარ, თურმე, საშიში,
 თავის თავსა სთვლი დიდრამეთ, მარა
 „თავის ქება“ ხომ ღირს გროში ფარა.

წამალი სხეგან თუ მანეთია,
 შენ ორი მიგაქვს, ეგ სულ ერთია“
 შენაზარხოშმა ჰქვენ ცრუ მოწმობა.
 და დამტყიცე, ბეჟუსა ძმობა.

სამაგიეროს მოგვიზღავს ხალხი,
 ამ თავით იყოს ერთი მათრახი.

555.

წლიური ანგარიში

მიათურა 1916 წელს*

1. „ქიათურის ქართულ დრამატულ საზოგადოებას“ შეუსრულდა ათი წელიწადი. მას მერე მძიმე ავითა. უგლის გამგეობა ნ. წ-ვის მეთაურობით.
2. მრეწველთა საბჭომ გააფართოვა ომისგან დაზარალებულთა და ქვრივ ობოლთა უფასოთ ექი-

*) ასეთი სათაურებით „ჩვ. მეგობარი“ სწერს „ოტროტებს“ მაგალითად „სამბრელია 1916 წელს“.



მობისა და რჩევის მიცემის საქმე ექიმ კ-ნის ხელმძღვანელობით.

3. უმაღლეს პირ. დაწ. ვაჟებისსასწავლებლის ჰიგიენის მასწავლებელმა, ექ. ს. ჯ-ემ, დასაბუთებული მოხსენება წარადგინა სადაც ჯერ არს, კვირაში თითო ვაკეითი ცოტააო.

4. მრეწველთა საბჭოს სატექნიკო სასწავლებელი ეკლესიით გადაკეთდა.

5. ბურჯანიძეულ კოპერაცია „ჩვენ ოჯახს“

6. ბუჩიძე ძალიან შევლოდა.

7. წლის დამლევს ადგილობრივ ბაღბახანაში მამასახლისების კრიზისი დაიწყო, ჭიდაობა ჯერაც არ დასრულდებულა.

8. სახ. უნივ, საღამოს კურსებზე 16 მსმენელი დადიოდა.

9. ადგილობრივი ბანკის წევრთა წლიური სხდომა იყო დანიშნული.

10. ადგილობრივი ქალები მარტში შეუდგენ „ქართველ ქალთა კავშირს“ დაარსებას. წესდების პროექტიც გაგზავნეს ქუთაისში...

11. უმაღლ. პირ. დაწ. საქალებო სკოლის გამგე ქ-ნი თფილისში არ ყოფილა.

12. მოსამზადებელი სკოლიდან ვაკეითილების დროს მოწაფეები გარეთ არ გამოუვლიათ.

13. მარგანეცის ქარხნებში სახელმწიფოს თავდაცვისათვის აუარებელი ხალხი მოაწყდა ჩასაწერათ... სამშობლოს გულისათვის ფულსაც არ ზოგავდნო.

გამათრახება ინტენსიური
მოამის სიავის მდომისა.
მთავარს სახელოსნომდე
გზა არ არს ერთი კვირისა
„ვაგონის კეხში“ გაიცნეთ
საქმე მუშათა ჭირისა
აქ არის კერესელიძე,
ქვემოტე ბრიგადირისა,
ცნობილი მატარებელი
სხვა გვარი ენა-პირისა,
ბრიგადირს ელაქუტება,
ენაც აქვს ერთობ გრძელია,
და ლაქუციისთვის ჯამაგირს
უმატებს რა სათქმელია,
მისი ამ გზით გამწვრთენელი
გახლავს ივანე თელია,
მიტომ აცოცდა მელაღზე
ყოფილა მუშა ძველია,
თორემ სტავლით და ჭკუითა
მძიმეთ არა აქვს თავია
ღმერთად ჰყავს ბრიგადირები,
ის მისი სალოცავია.
სირცხვილთან მონამდურავი
ნამუხისს გამკიცხავია
და რომ მოუხდეს მათრახი
აბა რა საკითხავია.


კ. 5 - მილი.

ჩამომარები.

რკინის გზის მთავარი სახელმწიფო

ჯოჯოხეთისა მფლობელი,
მეფე ეშმაკთა ტომისა,
თქვენს ყურადღებას სულ იპყრობს
საქმე გარეულ ომისა...
დასთმეთ ცოტა სიმე
ცეპელინებზე ჯდომისა,





„თ ა ნ ა მ ე ლ რ ო ვ ე ა ზ რ ი“

მიიღება ხელის მოწერა 97 წლისათვის

ბაზეთი ღირს კოგორც თფილისში, ისე კოკოპინციოში მთელი წლით 15 მანეთი, ნახვარაი წლით 8 მან
საში თვით 4 მან 20 კაპ., ეათი თვით 1 მან, 40 კაპ

გაზეთის ფასი ხელის მომწერლებმა წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არაფის გაგეზანება.
ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисть, почтовый
ящикъ № 199, Власію Малакіевичу Бохоадзе.

თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „მანათლმბაში“ ოფის კუჩა № 6.

ყოველ-კვირული იუმორისტული გამოცემა

მ მ მ მ მ მ მ მ

მიიღება ხელისმოწერა 1917 წლისათვის

ქურნალის ფასი: 12 თვით 7 მ. —
6 თვით 4 მ. — კ.
3 თვით 2 მ. — კ.
1 თვით — 70 კ.

ეშმაკის მათრახში დამატდება მხოლოდ იუმორის-
ტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები,
ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები,
ნაკვესებიდა სხვა.

შურნალის სახსარბარო და სალიტერატურო მხარის მანაგბის ეშმაკი,
ხოლო გამოცემის სამხის კანტორა „მანათლმბა“

რედაქცია სთხოვს როგორც თანამშრომლებს, ისე ხელის მომწერლებს რომ მისალები და
ფული ამ ადრესზე: გამოგზავნონ Тифлисть, С. Р. Таварткиладзе, Ольгинская, 6,
поч. ящ. № 96.